ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4690310

ნომერი: AR1707980

თარიღი : 20.09.2019

გაცემის თარიღი : 27.09.2019

გაცნობის თარიღი : 27.09.2019

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ლერწმის ქუჩა, N 3;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თეონა კვიკვინია პ/ნ 58001005154
- თბილისი, მოსკოვის გამზირი 14ა, ბინა 154

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- IV კლასი
- ვადაგასული
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალფუნქციური (შერეული ფუნქციის (საცხოვრებელი-სავაჭრო)) შენობა
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ზურაბ ქანთარია

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შ.პ.ს. "მეგა დეველოპმენტ"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 406288565
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: თეონა კვიკვინია
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 58001005154

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 01/78
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 25.01.2008

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : ნ/590
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 13.05.2008

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ ქ. თბილისში , ლერწმის ქუჩა #3-ში, შპს ,,მეგა დეველოპმენტი“-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა მრავალფუნქციური კომპლექსის არქიტექტურული პროექტი #01/78 (25/01/2008) და გაიცა მშენებლობის ნებართვა N6/590 (13/05/2008). მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2008 წლის 20 მაისიდან 2011 წლის 20 მაისამდე.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის 13-35 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის დებულების მიხედვით, სამსახურის ერთ-ერთი ფუნქციაა არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის შეთანხმება, მშენებლობის ნებართვის გაცემა და კანონმდებლობით დადგენილი წესით, მათში ცვლილებების შეტანა. მშენებლობის ნებართვის გაცემის, ასევე მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელების წესი და პირობები რეგულირებულია "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის №57 დადგენილებით. დასახელებული დადგენილების 57-ე მუხლის მიხედვით, მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის გაგრძელება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ სამშენებლო ობიექტზე არ არის განხორციელებული ისეთი სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც ამ დადგენილების შესაბამისად საჭიროებენ მშენებლობის ახალ ნებართვას. მშენებლობის ნებართვის გაგრძელების საკითხზე ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანო მსჯელობს ყველა ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოების გათვალსწინებით და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. ამასთან, ამავე დადგენილების 57-ე მუხლის მიხედვით, მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის გაგრძელებისათვის დამკვეთი ვალდებულია ნებართვის გამცემ ორაგნოს წარუდგინოს დარჩენილი სამუშაოების მშენებლობის ორგანიზების პროექტი და მშენებლობის დასამთავრებლად მოთხოვნილი გონივრული ვადა. რის შემდეგაც ნებართვის გამცემი ორგანოს მისთვის მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების გათვალისწინებით აფასებს დამკვეთის მიერ ნებართვის ვადის გასაგრძელებლად მოთხოვნილი ვადის მიზანშეწონილობას და იღებს გადაწყვეტილებას ნებართვის ვადის გაგრძელების/ ვადის გაგრძელებაზე უარის თქმის შესახებ. მოცემულ შემთხვევაში, მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ მშენებლობის ნებართვა გაცემული იყო დამკვეთის მიერ მოთხოვნილი ვადით, დღეისათვის, სამშენებლო სამუშაოები დაწყებული არ არის. ასევე, დამკვეთს ევალება, რომ ნებართვის ვადის გაგრძელებისთვის ნებართვის გამცემ ორგანოს წარუდგინოს დარჩენილი სამუშაოების მშენებლობის ორგანიზების პროექტი, თუმცა ამ შემთხვევაში დამკვეთს სამშენებლო სამუშაოები არ განუხორციელებია და მის მიერ წარმოდეგნილია არა დარჩენილი არამედ სრული სამუშაოების მშენებლობის ორგანიზების პროექტი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ.

შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.